პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 223 (7784)

22 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.



საქართველოს პირადი ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

როცა ჩემპიონატი ჩემპიონატობს...

...ლეგან თედიაშვილმა კლასიკური სტილით შესანიშნავი ბიჭური გდება, მეტოქე წამით შეტრტმანდა მაკრში და ბეჭებით დეცინარება ხალიჩას დარბაზში ტაშმა ქუხა... მალე ნაცნობმა კადრმა გაიელვა — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ამაყად დგას ბეჭდიდებული ფალავანი, რომელსაც ეს-ეხა გადასცეს ოქროს მედალი...

არა, ლეგან თედიაშვილი საქართველოს ჩემპიონატში არ გამოსულა. კარგა ხანია დიდ საბრძოლო გამოცდილებას იძენს გასაბედ ჩემპიონთა ჩემპიონში. მე მხლოდ მშვენიერი დოკუმენტური ფილმის — „საგარჯიშო ფალავნის“ ერთი ეპიზოდი შეგახსენეთ. სწორედ ამ ფილმით დაიწყეს რესპუბლიკის ჩემპიონატის სახეიმო გახსნის ცერემონიალი. ლეგან თედიაშვილი ტურნირის საპატიო სტუმართა შორის იყო. ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლეს ბევრი ვეტერანი მოუდევი ესტუმრა: ჭიდაობის ქართული სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვახტანგ კუბიანიძე, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე, ოლიმპიური ჩემპიონი მირიან ცილქლამანიძე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — ვახტანგ ბალავაძე და გურამ სალარაძე, მსოფლიოს ჩემპიონი ზარიბეგ ბერიაშვილი, მსოფლიოს ოთხგზისი და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში რომან რურუა...

ასეთი რანგის შეჯიბრებებს — ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატებს რომ უდავოდ დიდი მისია აკისრია, ყველამ კარგად იცის. ერთხელ და ორჯერ არ აღნიშნულა, რომ რესპუბლიკური პირველობები წლების მანძილზე ვერ ამარცხებდა დანიშნულებას — უინტერესოდ და უმყურებლოდ ტარდებოდა, ამ ძველებურ კლორიტსა და ეხოვნიზმს მოყვებული იყო. ახლა საქმეს აშკარად სისიცხეთ პირი უჭირს. სპორტის სასახლეში გამართული ეს ასპარეზობა მართლაც სანიმუშო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვატარებდეთ ჩვენს „შინაურულ“ შეჯიბრებებს. ეს მოსაზრება მხოლოდ ჩემპიონატის სახეიმო გახსნით მიღებულ შთაბეჭდილებებს არ ეყრდნობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ასე ვთქვათ, ტურნირის სპორტული მხარე. აი, რა გვითხრა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დავით ციმაკურიძემ: „თავისთავად ასისამოვნო ფაქტია, რომ ჩვენს მოუხდაევებს სპორტის სასახლემ უმასპინძლა. რამდენი კარგი ფალავანი წასულა სპორტიდან ისე, რომ სასახლის სარბიელზე ერთხელაც არ უჭიდაოვია. აქ ყოველმხრივ ხელსაყრელი ატმოსფეროა მონაწილეთათვის, მსაჯებისთვის, მაყურებლისთვის. მისასალმებელია ისიც, რომ აჯეკრად ჩემპიონატში თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი ასპარეზობდა. მე უყურადღებით ვადევნებდი თვალს შეჯიბრებას და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ არაერთი პერსპექტიული ახალგაზრდა მოვიდა ჭიდაობაში — ტატუაშვილი, ხაბელოვი, რაზმაძე, გობერიძეები, გაბოძე, ხურცია, ტყვიშელაშვილი... ამ ბიჭებს, თუ საქმეს ბოლომდე უცრაგუნებენ, უთუოდ კარგი მომავალი აქვთ.

ამ ბრძოლებს გვაძლევს მოსწავლეთა წლევანდელი სპარტაკიადის, საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების შედეგები. ახლა უფრო დიდი სარბიელისკენაა უნდა გავიხედოთ, ტრადიცია საბოლოოდ უნდა დავებრუნოთ. ვიცი,ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ვიდრე ევროპისა და მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებში გამარჯვებულები ისევ არ გვეყოლება, გულმატკივარი, ცხადია, უკმაყოფილო იქნება“.

ახლა უშუალოდ სპორტის სასახლეში გამართული ორთაბრძოლების შესახებ. შეჯიბრებაში სულ ას სამოცამდე სპორტსმენი ჩაება. გამოცდილ ფალავანთა გვერდით ასპარეზობდნენ გუშინდელი იუნიორები, რისუმჩატეს წონაში ბადალი არ ჰყავდა სოხუმელ ზურაბ წოწორიას, რომელმაც ყველა შეჯვდრა აქცია უპირატესობით მოიგო. წოწორია თავდაბნე ფავორიტად ითვლებოდა, ბათუმელი მარად არძენაძის (52 კგ) კარგი ჭიდაობა უწევდა გამოსვლა. ახალგაზრდა მოჭიდავეთა დიდმა ნაწილმა, უდავოდ, კარგი შთაბეჭდილება დატოვა, პრეზიუმთა შორის ძირითადად სწორედ იუ-იტლასში წლის ჯამუკები მოხვდნენ.

ერთი პრობლემა ახალგაზრდა მოვიდა ჭიდაობაში — ტატუაშვილი, ხაბელოვი, რაზმაძე, გობერიძეები, გაბოძე, ხურცია, ტყვიშელაშვილი... ამ ბიჭებს, თუ საქმეს ბოლომდე უცრაგუნებენ, უთუოდ კარგი მომავალი აქვთ.

უმჩატეს წონაში ბადალი არ ჰყავდა სოხუმელ ზურაბ წოწორიას, რომელმაც ყველა შეჯვდრა აქცია უპირატესობით მოიგო. წოწორია თავდაბნე ფავორიტად ითვლებოდა, ბათუმელი მარად არძენაძის (52 კგ) კარგი ჭიდაობა

ჯი ყველასთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ჩვენმიერ წლის სპორტსმენად აღიარებული უნარიანობა გამოაცხადა, რომელმაც გამოცდილი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან, ფინალში კი სხვისი ადამ ფილა დაამარცხა. თბილისის წლევანდელ ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დღეებში ბევრი ჭიდის სიტყვა ითქვა ზურაბ ტატუაშვილის მისამართით. ჭიდაობის მოყვარულებს აღმათ ახსოვთ, რომ მან ბრწყინვალედ გაიმარჯვა ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში და სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო. ტატუაშვილი ამჯერად უფრო მაღალ — 57 კგ წონაში ასპარეზობდა, ფინალამდე ილიად გაიკვლია გზა, მაგრამ აქ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა რევაზ კუდუხოვმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. იყო მოვინტი, როცა კუდუხოვი 7:1-ზე იგებდა შეხვედრას, მაგრამ ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა, შესვენების შემდეგ ტატუაშვილი საგრძნობლად გაეტრტოლა და გაიმარჯვა — 12:8.

სულ წუთ-ნახევარს გაგრძელდა კახელი ოსეტ ბახტაძისა (62 კგ) და თბილისელი შალი მაკომლოვის ორთაბრძოლა. ბახტაძემ პარტერში „დაჭირა“ მეტოქე და წმინდად დაამარცხა. დამარცხებულად ისპარება თბილისელმა გოჩა გაბოძემ, რომელმაც ფინალში სხვემელ ზურაბ ლომიძეს მოუგო. ამ ფალავნებს მწარტნელები კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

სექტემბერში ტაშკენტში გამართულ მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაზე, როგორც ცნობილია, ოთხმა ქართველმა მოჭი-

(დასაწყისი №-2 გვ.).

უკურამ ფოტოს და გული სიამაყის გრძნობით გეკუმშა. თანაც გიკვირს, რა ძალამ, რა სიყვარულმა შეკრიბა ისინი ერთად. ახე იწყებოდა ჩვენი ჭიდაობის ისტორია, ახე ეკრებოდა საფუძველი სახელოვან გამარჯვებებს, რომლებმაც საერთაშორისო ასპარეზი მოიტანა ქართულ საჭიდაო სკოლას.

ისინი მაშინაც ერთად იყვნენ, ერთმანეთის მხარდამხარ, ერთმანეთის სიყვარულითა და პატივისცემით გამსჭვალულნი. ისინი ახლაც ერთად არიან, ჩვენი სიამაყე ფალავნები.

თბილისის სპორტის სასახლეში თავისუფალი ჭიდაობის ოსტატთა რესპუბლიკური ჩემპიონატი ჩატარდა. ამ დღეს ისინი უკვლაზე ავტორიტეტული და პრეტენდენტული მსაჯებლების როლში გამოვიდნენ, განსაკუთრებით გამორჩეულებს კი თავისი სახელობის პრიზები გადასცეს. ესეც ალბათ ნიშანდობლივია, თუ გუშინდელ მონაწილეთაგან ერთი მაინც წინააბათა ტრადიციას გააგრძელებს.

არადა ღირს მათ მიპმაძო. თუ არ გჯერათ, გკითხეთ დავუკვირდით (მარცხნიდან): ვახტანგ ბალავაძე, ლეგან თედიაშვილი, ჯარჯან გაგოძე, გიორგი როსტიაშვილი, დავით ციმაკურიძე, გურამ სალარაძე, გიორგი სხირტლაძე, მირიან ცილქლამანიძე, ზარიბეგ ბერიაშვილი. უკეთესს რას ინატრებს კაცი!

როცა ჩემპიონატი ჩემპიონატობს...

(დასასრული)

დავემ მოიპოვა ოქროს მედალი. სპორტაკიადის ჩემპიონთაგან რესპუბლიკის პირველობაში სიხუმელი დაეთო ხუთით (74 ქგ) გამოდიოდა. ალბათ, ბევრი ფიქრობდა, რომ ხერეცი ვერ გაუძლებდა გამოცდილ მეტოქეებს, მაგრამ ამ უთანასწორესად ტექნიკურმა სპორტსმენმა აქაც ოსტატურად ჩაატარა ბაურ კასოევს, მაგრამ შემდეგ ხუთი მოგვებიანი ქულა აიღო და გაიმარჯვა. რაზმაძე—ხერცძის გადამწყვეტ ჭიდაობი კი მეტოქეებმა საერთოდ ვერ მოახერხეს ტექნიკური ქულის მოპოვება. მსაჯებმა ჩათვალეს, რომ რაზმაძე უფრო აქტიურად იბრძოდა და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა.

ქვემძიმე წონაში აშკარა ფავორიტი იყო მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი რუსეთის ნამყოფი ალი ლოჩოშვილი. ეს შეჯიბრება დიდხანს ემახსოვრებათ მონაწილეებსაც და მაყურებლებსაც, — გვითხრა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ მესხეთელაშვილმა, — ჩემი კოლეგების სახელით მინდა მადლობა ვუთხრა სპორტის სასახლის დირექციას, რომელმაც ყოველნაირად შეგვიწყო ხელი. ტურნირის ასე ორგანიზებულად და ლამაზად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს სპორტკომიტეტს, მთავარ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში ოზარ შიტაშვილს, შეჯიბრების სხვა ორგანიზატორებს. ამას ხაზს ემატება ესეც, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატი ასე ორგანიზებულად დიდი ხანია არ ჩატარებულა. ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის, სპორტსმენთა დოსტატებისთვის. მხარში ამოგვდგნენ ვეტერანი მოჭიდავეები, რომლებიც ინტერესით აღევნებდნენ თვალს შეჯიბრებას. მათ სახელობის პრიზები ჩემპიონატის ბევრმა მონაწილემ მიიღო. ერთი სიტყვით, თავისუფალ ჭიდაობაში დღეს საქმიანი, შეგობრული ატმოსფერო სუფევს და დარწმუნებული ვართ, საერთო მონდომება, ხელმძღვანელობის მხარდაჭერა უკვალოდ არ ჩაივლის.

ჩვენ გვაყვს საიმედო ახალგაზრდობა, პერსპექტიული მოჭიდავეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი. ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში ჩვენი რესპუბლიკიდან ოცზე მეტი თავისუფალი სტილის მოჭიდავეა მწვეული. ამ ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენ ახალგაზრდობაში ბევრი ნიჭიერი ბიჭია, რომელთა ნაწილი ალბათ ძალიან მალე გაიზრდება ძლიერ სპორტსმენებად და ჩვენი ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენს.

ეს ჩემპიონატი ასევე ნათელი დასტური იყო იმისა, რომ ჩვენ ქალთა ჭიდაობაც ფეხს იკიდებს. ამ ახალგაზრდა სპორტსმენებს ჯერ ბევრი ვარჯიში მოუწევთ, სანამ ისინი ნამდვილ ოსტატებად ჩამოყალიბდებიან, მაგრამ ნიჭიერების, ენერგიის, ბრძოლისუნარიანობის თვალსაზრისით ისინი ნამდვილად იმედის მომცემნი არიან.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ბევრ ადგილზე ბრძოლები ზედმეტად გაჭიანურდა. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ბევრ მოსამართლეს ჯერ არ აქვს საკმარისი გამოცდილება. ამ ნაკლის აღმოფხვრა ძალიან ადვილია, საკმარისია ბრძოლის დროის ხელოვნურად შემცირება.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ბევრი იზრუნეს, რომ ჩემპიონატის მონაწილეებს ყველაფერი ჰქონოდათ, რაც საჭირო იყო ნორმალური ცხოვრებისა და წარმატებული გამოსვლისთვის. ეს ყველაფერი ხომ ასე ადვილად არ ხერხდება. ამ მხრივ ბევრი ბრალი მიუძღვის ქალაქ ბორჯომის ხელმძღვანელობასაც, რომელმაც ასე ლამაზად მიიღო ჩემპიონატის მონაწილეები და ასე ორგანიზებულად ჩაატარა ეს ჩემპიონატი, არც ერთ მეტოქეს არ დაუტოვა გამარჯვების შანსი. ბაბელოვი ფინალში ბათუმელ ვიტორ სოლოვიოვს შეხვდა. პირველი პერიოდი ახალი დაწყებული იყო, როცა ბაბელოვმა მოგვერდით ძირს დასცა მეტოქე და ხალიჩაზე ბეკებით გაკრა. ფინალში წონისა გამარჯვება ოზიმა აბრეშუა საბოთა კაკურის ნაკრების წევრმა დაეთო გიბეჯიშვილმა (+100). მან დაამარცხა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი — რუსთაველი კობა ლოჩოშვილი.

— ეს შეჯიბრება დიდხანს ემახსოვრებათ მონაწილეებსაც და მაყურებლებსაც, — გვითხრა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ მესხეთელაშვილმა, — ჩემი კოლეგების სახელით მინდა მადლობა ვუთხრა სპორტის სასახლის დირექციას, რომელმაც ყოველნაირად შეგვიწყო ხელი. ტურნირის ასე ორგანიზებულად და ლამაზად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს სპორტკომიტეტს, მთავარ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში ოზარ შიტაშვილს, შეჯიბრების სხვა ორგანიზატორებს. ამას ხაზს ემატება ესეც, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატი ასე ორგანიზებულად დიდი ხანია არ ჩატარებულა. ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის, სპორტსმენთა დოსტატებისთვის. მხარში ამოგვდგნენ ვეტერანი მოჭიდავეები, რომლებიც ინტერესით აღევნებდნენ თვალს შეჯიბრებას. მათ სახელობის პრიზები ჩემპიონატის ბევრმა მონაწილემ მიიღო. ერთი სიტყვით, თავისუფალ ჭიდაობაში დღეს საქმიანი, შეგობრული ატმოსფერო სუფევს და დარწმუნებული ვართ, საერთო მონდომება, ხელმძღვანელობის მხარდაჭერა უკვალოდ არ ჩაივლის.

ჩვენ გვაყვს საიმედო ახალგაზრდობა, პერსპექტიული მოჭიდავეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი. ქვეყნის სხვადასხვა ნაკრებ გუნდში ჩვენი რესპუბლიკიდან ოცზე მეტი თავისუფალი სტილის მოჭიდავეა მწვეული. ამ ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩვენ ახალგაზრდობაში ბევრი ნიჭიერი ბიჭია, რომელთა ნაწილი ალბათ ძალიან მალე გაიზრდება ძლიერ სპორტსმენებად და ჩვენი ნაკრების ძირითად ბირთვს შეადგენს.

ეს ჩემპიონატი ასევე ნათელი დასტური იყო იმისა, რომ ჩვენ ქალთა ჭიდაობაც ფეხს იკიდებს. ამ ახალგაზრდა სპორტსმენებს ჯერ ბევრი ვარჯიში მოუწევთ, სანამ ისინი ნამდვილ ოსტატებად ჩამოყალიბდებიან, მაგრამ ნიჭიერების, ენერგიის, ბრძოლისუნარიანობის თვალსაზრისით ისინი ნამდვილად იმედის მომცემნი არიან.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ბევრ ადგილზე ბრძოლები ზედმეტად გაჭიანურდა. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ბევრ მოსამართლეს ჯერ არ აქვს საკმარისი გამოცდილება. ამ ნაკლის აღმოფხვრა ძალიან ადვილია, საკმარისია ბრძოლის დროის ხელოვნურად შემცირება.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ბევრი იზრუნეს, რომ ჩემპიონატის მონაწილეებს ყველაფერი ჰქონოდათ, რაც საჭირო იყო ნორმალური ცხოვრებისა და წარმატებული გამოსვლისთვის. ეს ყველაფერი ხომ ასე ადვილად არ ხერხდება. ამ მხრივ ბევრი ბრალი მიუძღვის ქალაქ ბორჯომის ხელმძღვანელობასაც, რომელმაც ასე ლამაზად მიიღო ჩემპიონატის მონაწილეები და ასე ორგანიზებულად ჩაატარა ეს ჩემპიონატი, არც ერთ მეტოქეს არ დაუტოვა გამარჯვების შანსი. ბაბელოვი ფინალში ბათუმელ ვიტორ სოლოვიოვს შეხვდა. პირველი პერიოდი ახალი დაწყებული იყო, როცა ბაბელოვმა მოგვერდით ძირს დასცა მეტოქე და ხალიჩაზე ბეკებით გაკრა. ფინალში წონისა გამარჯვება ოზიმა აბრეშუა საბოთა კაკურის ნაკრების წევრმა დაეთო გიბეჯიშვილმა (+100). მან დაამარცხა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი — რუსთაველი კობა ლოჩოშვილი.

— ეს შეჯიბრება დიდხანს ემახსოვრებათ მონაწილეებსაც და მაყურებლებსაც, — გვითხრა საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ მესხეთელაშვილმა, — ჩემი კოლეგების სახელით მინდა მადლობა ვუთხრა სპორტის სასახლის დირექციას, რომელმაც ყოველნაირად შეგვიწყო ხელი. ტურნირის ასე ორგანიზებულად და ლამაზად ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს სპორტკომიტეტს, მთავარ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში ოზარ შიტაშვილს, შეჯიბრების სხვა ორგანიზატორებს. ამას ხაზს ემატება ესეც, რომ რესპუბლიკის ჩემპიონატი ასე ორგანიზებულად დიდი ხანია არ ჩატარებულა. ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჭიდაობის პოპულარიზაციისთვის, სპორტსმენთა დოსტატებისთვის. მხარში ამოგვდგნენ ვეტერანი მოჭიდავეები, რომლებიც ინტერესით აღევნებდნენ თვალს შეჯიბრებას. მათ სახელობის პრიზები ჩემპიონატის ბევრმა მონაწილემ მიიღო. ერთი სიტყვით, თავისუფალ ჭიდაობაში დღეს საქმიანი, შეგობრული ატმოსფერო სუფევს და დარწმუნებული ვართ, საერთო მონდომება, ხელმძღვანელობის მხარდაჭერა უკვალოდ არ ჩაივლის.





მაღალ დონეზე ორგანიზებულმა, კარგად ჩატარებულმა შეჯიბრებამ — საქართველოს ჩემპიონატმა თავისუფალ ჭიდაობაში — აღარნაირად განსხვავებით საქმაო მაყურებელი მიიზიდა და ბევრი სახალისო წუთიც განაცდევინა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

რესპუბლიკის ჩემპიონი



ზურაბ ტატიშვილი

თავისუფალი ჭიდაობა

დაიბადა 1960 წლის 16 სექტემბერს. სიმაღლე 182 სმ, წონა 87 კგ.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

სპორტსზოგადოება „დინამოს" წევრი.

სპორტში შედგინეთა დიპლომ 1975 წელს.

მწვრთნელი თამაზ გოგილაძე.

1982 წელს შეიკვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

1984 წლის თბილისის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

1984 წლის საქართველოს ჩემპიონი.

მთამსვლელთა რუკაზე ახალი მწვერვალები გაჩნდა

საბელგანძთველი მთამსვლელი, სსრ კავშირის მრავალჯერის ჩემპიონი და პრიზიორი ჯუმბერ კახიანი ოთხიათე წელია რაც მშობლიურ მესტიის რაიონს დაუბრუნდა.

მუშაობის სასიფლო საბჭოს ერთ-ერთი სოფელში, უახლოეს დღეს მისი მამაპაპეული სახლი. სწორედ აქედან შეამჩნია მისმა მაჯილობა თვალმა თითქოს ხელის გაწვდენაზე ჩამწკრივებული ის ფეხდადგმის მწვერვალები, რომელთა დალაშქრის ასე ეწყრობოდნენ მოეზნე შეყვარებული ადამიანები, შეამჩნია და გადაწყვეტილება მიიღო. თეთნულის კალთებზე ყოფნის დროს უსახელო მწვერვალი უფრო მკვეთრად წარმოეჩენა თვალწინ. „ამ მწვერვალს ცნობილი ქართველი მთამსვლელის გოჯი ზურგიანის სახელი უნდა დაერქვას", — უთქვამს მეგობრებთან საუბრისას ჯუმბერს. მეორე მწვერვალი ჯუმბერის გონებაში საბჭოთა კავშირის გმირის იაროსლავ იოსელიანის სახელს დაუკავშირდა.

ჯუმბერ კახიანის თაოსნობით წამოწყებულ საქმეს მხარი დაუჭირა მეტრის რაისაბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ზესიტაძემ. მისი ხელშეწყობით გამოიყო სათანადო სახსრები და რაიონის წარმომადგენლობამ გზა დაულოცეს ენთუზიასტებს.

...მთიგრიშე ჯგუფის წევრები სოფელ უახეში შეიკრიბნენ. აქ-ინეს კარგი პირი არ უწანდა, ამიტომ ჯგუფი ორად გაიყო. ერთი ჯგუფი, რომელსაც სათავეში თანრიგოსანი გოჩა ჩართოლაძი ჩაუდგა, „გოჯი ზურგიანის ბიჭზე" უნდა ასულიყო. მთიგრიშე ჯგუფში იყვნენ თანრიგოსანები ზვიად კახიანი, გოჯის შვილიშვილი გოჩა ზურგიანი, ზაური გულუდანი და ეროქელე სალღობი. მეორე ჯგუფს თვითონ ჯუმბერ კახიანი წარუძღვა. ამ ჯგუფში შეეკიდნენ თანრიგოსანი ბაატა ნავერიანი, ბესიკ, კახა, გაულ კახიანები, ზაურ ჩართოლანი, მიხეილ გულანი. მეორე შეჯვარული უფრო რთული აღმოჩნდა. პირველი კლდოვანი მონაკვეთების გავლის შემდეგ მთამსვლელებმა თოკები მოიშვილეს. ენთუზიასტთა ახარები იძღვნად დიდი იყო, რომ მათ უველა სიძნელე ადვილად დაძლიეს. ჯგუფის მეორ ნაწილთა გზა შეიძლება მიკუთვნოს მე-28 ოქტომბრის სახელობის. პირველი მწვერვალის სიმაღლე 3407 მეტრს აღწევს, ხოლო მეორისა — 3620 მეტრს.

ორი დღის შემდეგ მთიგრიშე ჯგუფის წევრებმა ბილიკები შეკვალეს. ორივე ჯგუფმა უმოკლეს დროში დაძლია ეს მარშრუტი.

კავკასიონის ამ რაიონში კიდევ არის სამი უსახელო მწვერვალი, ისინი პირველმკვალავებს ელოდებიან...

სიმონ მარკალიშვილი.

ოცდაოთხი გუნდის მონაწილეობით

საბერძნეთის ჭიდაობის კლუბში გაიმართა საქალაქო ფესტივალი. ღონისძიება მიეძღვნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 40 წლისთავს. შეჯიბრებაში, რომელიც შეეიცარული სისტემით ჩატარდა, მონაწილეობდნენ ავარის, ქუთაისის, ცხაკაიას, ტყიბულის, ახალციხის, წულუკიძის, ზუგდიდის, წყალტუბოს, ხობის, ჩოხატაურის, ვანისა და სამტრედიის წარმომადგენლები. სულ 24 გუნდი. თითოეულში სამი ჭაბუკი და ერთი გოგონა იყო.

დიდებრძნი თავდიდებ ხელთ იქდა ქუთაისის მეორე გუნდმა, რომელმაც სამოლოდ 20 ქულით გაიმარჯვა. ქუთაისელებს ნაბეჭავი ქულით ჩამორჩნენ მასპინძლები, მესამე ადგილი ცხაკაიელმა მოსწულებმა დაიკავეს — 18,5 ქულა.

ბ. ჩხაიძე,
საბერძნეთის ჭიდაობის კლუბის დირექტორი.

ჭკითხველი—გაზეთი

● რომელ წელს დაწესდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება და ვის მიენიჭა იგი პირველად?

ზოთა ცხოველიძე.

— სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება დაწესდა 1956 წლის მარტში. სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გადწყვეტილებით ამ წოდების ანიჭებდნენ მწვრთნელებს, რომლებმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სპორტის ოსტატთა, სსრ კავშირის, ეროვნის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა და რეკორდსმენთა აღზრდის, აგრეთვე წვრთნის მოწინავე მეთოდების შემუშავებისა და დანერგვის საქმეში.

სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის პირველი ნიშანი გადაეცა მძლეოსნობის ცნობილ სპეციალისტს ვიქტორ ალექსეევს. პირველ ლაურეატთა შორის იყვნენ ი. ახიასთვი (ცეგერეზი), კ. გრაფოპოლოვი (ყრიმი), ბ. სტაფეევი (ტანვარჯიში), ე. კაბანოვი (აკადემიური ნიჩბოსნობა), ლ. პოპოვი (მძლეოსნობა), ა. კატულინი (ჭიდაობა), ი. ახლოვეევი (სროლა), ბ. არკადიევი (ფეხბურთი), ვ. ორკადიევი (ფარიკაობა).

ამავე 1956 წელს სპარტიო წოდებით დაჯილდოვდა მწვრთნელთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელშიც თბილისელ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც: გიორგი გვანატაშვილი, ვლადიმერ პროკოფიევი, გიორგი ბაბილოძე (ტანვარჯიში), მიხეილ თიკანაძე, ვახტანგ კუხილაძე, ვიორგი ვარძელაშვილი, პეტრე იორდანიშვილი, ლევ გოლოვინა (ფარიკაობა), გიორგი ივლილიანი (აკლობურთი) და სხვები.

ვიღრე არემაში გაინწვევდნენ

აბას წინათ ჩატარდა სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვის" თბილისის საქალაქო საბჭოს პირველობა მშდ კომპლექსის მოედანზე. შეჯიბრებაში, რომელიც პირველად მოეწყო წვევამდელებს შორის, 14 პროფტექნიკური და 11 ტექნიკური სასწავლებლის 250 მოსწავლე მონაწილეობდა. გაიმარჯვა № 18 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდმა (დირექტორი ნ. კუქავა, ფიზ-აღზრდის ხელმძღვანელი ო. გეხაძე). მეორე იყო № 63 პროფტექნიკური სასწავლებელი, მესამე ადგილი კი 75-ე სასწავლებლის გუნდმა.

მე-18 პროფტექნიკური სასწავლებლის გუნდის წევრებმა პირველობაშივე ყველას ჯობნეს. გაიმარჯვა ე. ტატიევმა — 84 ქგ-ლა, მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ა. მაყაშვილმა — 74 და ე. ანერეევმა — 68.

წვევამდელთა შეჯიბრება ამიერიდან ტრადიციად იქცევა.

ლუიზა ბაბალუა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი 47 ვებკონტაქტი ლიგა

„ზენიტი“ ჩემპიონია

მატჩი ტაშკენტში

ტაშკენტი. „ფახთაკორის“ სტადიონი. 21 ნოემბერი.

„ფახთაკორი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (თბილისი) 3:0 (3:0).

„ფახთაკორი“: იანოვსკი, კოხერი, გეში (სელიმჯანოვი), ახმედოვი, დენისოვი, ივანოვი, ბონდარენკო, ბეკულოვი, ვოლკოვი, ნოვიკოვი, კაბაევი.

„დინამო“: ახუსტრიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, პაიკიძე, არზიანი, კაკილაშვილი, ყორდანია (მახარაძე), ჭედია, გუდაძე, ცაავა (მეხი), შენგელია.

მსაჯი ა. ბობრაკოვი (ოშკარ-ოლა).

დებიუტორები — 2:2. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ჩქარეულმა და ცვანიამ.

ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი. ისინი ენერგიულად, მონდომებით უტევდნენ და 21-ე წუთზე ანგარიშიც გახსნეს: ფლანგიდან მოწოდებულ ბურთზე სწრაფად გავიდა წინ გეში და ზუსტადაც დაარტყა — 1:0. ათიოდე წუთის შემდეგ კაბაევმა ახლო მანძილიდან მეორე ბურთი გაიტანა, ბოლო ტაიმის დასასრულს ნოვიკოვის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა კეტაშვილმა და 11-მეტრიანი უშეცდომოდ დაარტყა იმავე ნოვიკოვმა — 3:0.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა მედიდურებით უკეთ ითამაშეს, მაგრამ ვერ შეძლეს „ფახთაკორის“ დაცვის დაძლევა და დიდი ანგარიშით წაგებეს ჩემპიონატის ბოლო მატჩი.

ჩვენებიანი ... ჩივაძემდე

რომელსაც 60 წლის იუბილარზე — ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებზე გაცდენქულები საუბარი, არჩევანი სპორტის ქამსახურებულ ოსტატ ბურთას ხუცესდაგან შევაჩერეთ: იგი საკვანძო ნაკრების პირველი ქარხველი გახლდათ, ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდი შეიდ ათეულამდე მატჩი ჩაატარა და ტყვეს ბურთის ქარხველი ოსტატებაგან უკეთესზე დიდ ჯილდოს ფლობს — მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალს (1966 წლის გათამაშება).

● როგორ მოხვდით დიდ ნაკრებში?

— 1965 წელს თბილისის დინამოელები ბრაზილიელთა ცნობილ მატჩს დავსწრით ლუჟნიკში. ვუყურებდი თამაშს და გულში ვიტრებდით ვფიქრობდი, რა იქნებოდა ბარემაოთან, მესხთან, ფუტრელთან, გიორგი სიჭინავასთან ერთად მეც ცუთელოყავი მინდორზე? არ მეგულება სპორტსმენი, ნაკრებზე რომ არ ოცნებობდეს. თბილისელებმა მაშინ ჯარად ითამაშეს, ევასაუთრებით — გიორგი სიჭინავამ (მერე ტაიმში), ბრაზილელებმა კი, ცხადია, პელემ. იგი პირველად ვნახე და საეფდამიც მოკადოებული დავრჩი. არა მგონია, რომ მსოფლიოში ვინმეს შეძლებოდეს მისი თამაშიდან გამოთანშეა თუ, რა თქმა უნდა... გრძალული იდეია არ იხმარა. 0:3 — შედეგი ლოგიკური იყო, თუმცა, ჩვენს გუნდს ვფიქრობ, შეიძლო ცოტა უკეთესად ეთამაშა. ორიოდე დღის შემდეგ, თბილისის „დინამომ“ მოსკოვის „ტორპედოსთან“ ითამაშა, მატჩზე უყურებელი რეპორტიორი მოვიდა. იმ დღეს მოსკოველთა შემადგენლობაში ხახგრძლივი შესვენების შემდეგ კლუბა უნდა გამოსულიყო მინდორზე ედუარდ სტრელცოვი. მისი თამაში ადრე არ მესახა, სახელსაც არ ვიცნობდი. კაჩალინმა მითხრა, შენ უნდა „დაეჭიროო“. და გულდამით ამისხენა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. იმდენი კარგი თქვა რომ, ცოტა არ იყოს, შეეფერიანდი, თუმცა მშობარა არასოდეს ვყოფილვარ. მგონი, თამაში გამომეიდა. ასეა თუ ისე, 142 პენალტი დაინიშნა, რომელთაგან რვალიზეულია 111. ყველაზე მეტი პენალტი დაინიშნა ქუთაისის ტორპედოელთა სასარგებლოდ (13), მაგრამ 11 ზუსტად გამოიყენა ო. კორძალიძემ, თითო 11-მეტრიანი ვერ გამოიყენეს კ. კერესელიძემ და იმავე ო. კორძალიძემ. 12-12 პენალტი დაარტყეს ნიკოლოლი — „კოლისმა“ და ბათუმის „დინამომ“.

● გათამაშებაში I წრის მერე ლიგის პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა: „ფაცელი“ — 33 ქულა, „მეტალურგი“ — 28, „ტორპედო“ — 27, „ლოკომოტივი“ — 27, „ყუბანი“ — 25; II წრეში მოგროვილი ქულებით წინ არიან ქუთაისის ტორპედოელები (28), შემდეგ მოდიან ასკ „კრასიატი“ (25), „ფაცელი“ (24), „ყუბანი“ (24) და „ზენიტი“ (24).

საკუთარ მინდორზე ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ქუთაისის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ნიკოლოზ მოროზოვმა, რომელსაც მეზობლები, გამომძიებლები შეურებოდა, მაგრამ ამაო: ვერც ერთ მატჩში მისი მთელი მონდომებით და შესაძლებლობით რომ არ მეთამაშა, სულ ერთია, რომელი გუნდი იყო ეს — ნაკრები, თბილისის „დინამო“ თუ... გეგეჭკორის „სალხინო“. ძნ ყველა მატჩისთვის მაქსიმალური მონდომებით ვემზადებოდი. ის კი სხვა სქემა, რომელი თამაში უფრო გამოგივა. ნაკრებს მუდმივი წინადადება მეძლეოდა მსოფლიოს საუკეთესო თავდასხმელები იბრძოდნ და ამიტომ, ალბათ, თამაში იქ უფრო დაიბეჭდა და სანიტერესოა.

● რას იტყვით ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ნაკრებზე?

— არა მგონია ჩვენმა ნაკრებმა ახლო მომავალში დიდ წარმატებას მიაღწიოს. მსოფლიო ჩემპიონობას მხოლოდ ვთქვენთან გუნდები აღწევენ, ჩვენ კი მხოლოდ ორი-სამი თუ გვყავს დიდი ფეხბურთელი — ჩივაძე, ბლოხინი, დასავლი, ნაკრებში კი 7-8 ფეხბურთელი მაინც უნდა იყოს დიდოლტატური ძალისა.

საუბარი ჩაიწერა ოთარ ლოსაძემ.

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრები მატჩის წინ ლუჟნიკში — (მარჯვნიდან) გუნდის კაპიტანი ჭ. ხუცესლავა, ვ. პილგუი, ვ. კაპლინი, ვ. კოლოტოვი, ა. ზანიჩკინი, ო. ბლოხინი, რ. ძორკუაშელი, ვ. ონიშჩენკო, ი. ვასენინი, ე. ლობჩენი, ვ. ფენტაანი.

ალექსანდრე ხომაინის ფოტო.

შესარჩევი ციკლი

ბაინდათა ფეხბურთში 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

IV ჯგუფი

ლუქსემბურგელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, შესვენების შემდეგ კი სტუმრებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:0. 3 ბურთი გაიტანა ერნსტმა, 2 — მინგმ.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
იუგოსლავია	2	1	1	0	3-2	3
საფრანგეთი	1	1	0	0	4-0	2
გდრ	2	1	0	1	7-3	2
ბულგარეთი	1	0	1	0	0-0	1
ლუქსემბურგი	2	0	0	2	0-9	0

V ჯგუფი

უნგრეთის ნაკრებმა ზედიზედ სამჯერ ზეიმი გამართვა. ამჯერად, მან კიპროსის გუნდს მოუგო სტუმრად, ლიანდაგის ნაკრები. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა, შესვენების შემდეგ კი სტუმრებმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:0. 3 ბურთი გაიტანა ნოსიმან.

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
უნგრეთი	3	3	0	0	7-3	6
ავსტრია	3	2	0	1	4-4	4
კიპროსი	2	0	0	2	2-4	0
ისლანდია	2	0	0	2	1-3	0

სტატისტიკა, სტატისტიკა ...

გთავაზობთ I ლიგის ფეხბურთელთა წლევანდელი საუკეთესო გათამაშების სტატისტიკურ მონაცემებს:

● **შეჯიბრებაში** 211 დღე გასტანა, 462 კალენდარულ მატჩს დაესწრო 3.937.100 მაყურებელი, რაც შარშანდელთან შედარებით 563.450-ით მეტია, ე. ი. წლეულს ყოველ მატჩს საშუალოდ 8.522 მაყურებელი ესწრებოდა.

● **რეკორდი** ყოველთვის, მასპინძლთა დიდი უპირატესობა ჰქონდათ: მათ მოიგეს 280 შეხვედრა, ფრედ დათავრეს 110 და მხოლოდ 72 წააგეს.

● **ხალ** გატანილია 1.171 ბურთი, 798 სტუმართა და 373 — მასპინძელთა კარში. საშუალო შედეგიანობა 2,53 გოლს უდრის.

● **საკუთარ** სტადიონზე ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა ქუთაისის „ტორპედოს“ — 497.000. „ფაცელის“ თამაშებს ეორორეულში დაესწრო 385.300 მაყურებელი.

ყველაზე ნაკლები მაყურებელი მოიქცა მოსკოვის „ლოკომოტივის“ მატჩებზე (საკუთარ მინდორზე) — 34 ათასი.

● **გომბარდირთა** დავაში გაიმარჯვა ბათუმის „დინამომ“ თავდამსხმელმა რევაზ ჩელებაძემ, რომელმაც სულ 28 გოლი გაიტანა. მან ერთ მატჩში გაიტანა 3 ბურთი, 6 მატჩში — 2-2, 12-ჯერ დაარტყა პენალტი და ყველა ზუსტად.

ქუთაისელმა ო. კორძალიძემ 24 ბურთი გაიტანა, ზაპოროჟიელმა ჩ. ზარიპოვმა — 20, ვოლგოგრადელმა ვ. ვასილიევმა — 19, ვორონეჟელმა ვ. პობულინმა — 18, ქუთაისელმა ვ. მეგრელაძემ და სიმფეროპოლელმა ვ. ნიუმენკომ — 17-17. გაბედილი შეჯიბრების ერთ-ერთ მატჩში 4 ბურთი გაიტანა სიმფეროპოლელმა ვ. ნიუმენკომ, ხოლო 3-3 ბურთის გატანა, საერთოდ, 9 მატჩში შეძლო.

● **I ლიგაში** წლეულს სულ 142 პენალტი დაინიშნა, რომელთაგან რვალიზეულია 111. ყველაზე მეტი პენალტი დაინიშნა ქუთაისის ტორპედოელთა სასარგებლოდ (13), მაგრამ 11 ზუსტად გამოიყენა ო. კორძალიძემ, თითო 11-მეტრიანი ვერ გამოიყენეს კ. კერესელიძემ და იმავე ო. კორძალიძემ. 12-12 პენალტი დაარტყეს ნიკოლოლი — „კოლისმა“ და ბათუმის „დინამომ“.

● **გათამაშებაში** I წრის მერე ლიგის პირველი ხუთეული ასე გამოიყურებოდა: „ფაცელი“ — 33 ქულა, „მეტალურგი“ — 28, „ტორპედო“ — 27, „ლოკომოტივი“ — 27, „ყუბანი“ — 25; II წრეში მოგროვილი ქულებით წინ არიან ქუთაისის ტორპედოელები (28), შემდეგ მოდიან ასკ „კრასიატი“ (25), „ფაცელი“ (24), „ყუბანი“ (24) და „ზენიტი“ (24).

საკუთარ მინდორზე ყველაზე მეტი ქულა დააგროვა ქუთაისის „ტორპედომ“ — 38, „ფაცელმა“ კი 37 ქულა აიღო. მეტოქეთა მიხედვებზე ლიდერები შეიქვეა: „ფაცელმა“ 20 ქულა დააგროვა, ხოლო „ტორპედომ“ — 17.

● **ლიგის** მატჩებში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეს ქუთაისის ტორპედოელებმა — 76, მათგან 48 — საკუთარ მინდორზე.

ქუთაისელმა მეტოქეთა მინდორებზეც ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს—28.

● **ბაბაევი** და მიღებული ბურთების ყველაზე უკეთესი სხვა ობა აქვს „ფაცელს“ +31, მომდევნო ადგილზეა „ტორპედო“ +21.

● **გათამაშებაში** დრო ანგარიშით დამთავრდა 63 მატჩი. ყველაზე მეტი შეხვედრა 3 და მეტი ბურთის სხვაობით მოიპოვა რიგის „დინამომ“ (7), ხოლო ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ბურევის“ 4-4 ასეთი გამარჯვება აქვთ. ყველაზე დიდი ანგარიშით დამთავრდა კემეროვოს „ხუზბასისა“ და ჯიზაკის „ხვენდის“ მატჩი. ანგარიშით 7:0 გაიმარჯვა „ხუზბასმა“.

● **ლიგის** 462 მატჩს მთავარ მსაჯად მოემსახურა 86 არბიტრი. ყველაზე მეტი მატჩი იმსაჯა მოსკოველმა ი. ვერეგინინმა (11). თბილისელმა ო. ლაცაბიძემ 5 მატჩი იმსაჯა, ხოლო ვ. მიმინოშვილმა — 1.

● **ჯემპიონატის** მსვლელობაში მინდორიდან გაძევეს 7 ფეხბურთელი. გაფრთხილეს 14. ყველაზე მეტჯერ ყველი ბარათი დაიმსახურა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელმა ა. ილინმა—5.

ნიკო ცხრაძაძე,
ფეხბურთის სტატისტიკოსი.

ინფორმაცია

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

გენუა მოსკოვში გაიმართა ა. კარპოვ — გ. კასპაროვის მატჩის 26-ე პარტია. თეორეტიკთ თამაშობდა პრეტენდენტი. 24-ე სვლაზე მეტოქენი ყიოშე შეთანხმდნენ. ანგარიში ცალ უცილოდაა — 4:0 კარპოვის სასარგებლოდ.

ჭადრაკი

საბურთალოზე ქალაქ საღონეში საშაჭადაო ოლიმპიადაზე II ტურის შეჯვარება გაიმართა.

გამარჯვება იზეიმეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა. ჩვენმა ქალთა გუნდმა სძლია (2:1) კანადის ნაკრებს. ჩიბურდანიძემ და ლეკვინთან შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს, სემიონოვამ კი, რომელმაც ამ დღეს გაიგონრდაშვილი შეეცალა, გაიმარჯვა.

საბჭოთა კოშტის ვაჟთა გუნდი უკუნს (3:0) კოლეგმების ნაკრებს. ერთი პარტია გადადებულია.

გოგოსპობის ამ ტურის ზოგიერთი შეხვედრის შედეგებია: **ქალთა ოლიმპიადა:** ბელგარეთი — საფრანგეთი 3:0, კუბა — ზიმბაბვე 3:0, ინდოეთი — შეიცარია 2,5:0,5. ჩინეთი დიდი სხვაობა იყო უნგრეთთან ძლიერ გუნდს მატჩი დაბოლოს ნაკრებთან — 0:2 (ერთი პარტია გადადებულია). **ვაჟთა ოლიმპიადა:** უნგრეთი — ავსტრალია 0,5:0,5 (3), პოლანდია — ავსტრია 2:1 (1), აშშ — ნორვეთი 1,5:1,5 (1), ინგლისი — ესპანეთი 2:1 (1), ინდონეზია — გფრ 2,5:1,5.

ფეხბურთი

ალმა-ატა. (ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი). მოკვირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების საკვირველო ჭამათმპაბაში „გადასაწყლის“ პრიზზე III ზონაში 21 ნოემბრის გიმნასია მეორე ტურის მატჩები.

საქართველოს ფეხბურთელები შეხვედნენ სომხეთის ნაკრებს. ორივე გუნდს მოგებული ჰქონდა პირველი ტურის თამაშები, ამდენად ეს მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ჩვენმა ნაკრებმა აშკარა უპირატესობით ითამაშა და დიდი ანგარიშით დაამარცხა მეტოქე — 5:0. 2-2 ბერით გიტანეს მიჭაშეიძემ და მანგაძემ, 1— ბესთაევმა.

ამავე დღეს აზერბაიჯანელმა ფეხბურთელებმა მოუგეს მოსკოველ გუნდს — 2:1.

23 ნოემბერს ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდები.

ემზარ სარალიძე.

საშგო

კუიბიშევ-ლა-კარუზი ვენესუელის ამ ქალაქში, რომელიც კარაკასიდან 354 კილომეტრითაა დაშორებული, ჩატარდა საშინისტრთა მსოფლიო თასის გათამაშება. ამ შეჯიბრებაში ადგილობრივ ათლეტებთან ერთად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, ესპანეთის, აშშ-ისა და არგენტინის ნაკრები კოლექტივები.

საბჭოთა მოჭიდავეებმა ერთნაირი ანგარიშით (9:1) დაამარცხეს აშშ-ს, ესპანეთის და ვენესუელის პირველი გუნდები, არგენტინისა და ვენესუელის — II გუნდს კი 10:0 მოუგეს. II ადგილი ესპანეთის სამბიტებმა დაიკავეს, III აშშ-ის სპორტსმენებმა. საბჭოთა ნაკრების ღირსეული წონითი კატეგორიების მოჭიდავეთ ივანდენ: ანტიან შანგარაევი (ალმა-ათა), ალმან მუსაბეკოვი (ჯამბული), ვალერი როკოკოვი (კრასნოკამსკი), საბირ ადიგუზალოვი (ტერმეზი), ვიქტორ კრიკორიოვიჩ (გომელი), ნიკოლოზ ზუევი (სვერდლოვსკი), მაგომედ რამაზანოვი (მინსკი), ვალერი პაპკინი (მოსკოვი), მიხეილ კოკორინი (ლენინგრადი), ეღადარ შალოევი (ბარნაული).

ძიუდო

ვილნიუსი. აქ გაიმართა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი ყურნალ „სოვეტსკე პროფსოიუზის“ პრიზზე. შეჯიბრებაში უცხოეთის შვიდი ქვეყნის 100-ზე მეტი სპორტსმენი თობაწილეობდა. სასიამოვნო სიურპრიზი იყო კაუნასის სასოფლო-სამეურნეო აკადემის სტუდენტის, 22 წლის როლანდას მიცკევიჩიუსის გამარჯვება აბსოლუტურ კატეგორიაში. საერთაშორისო ტურნირების დებიუტანტმა დამამტკიცა ავსტრიის ეკსპერტმა ორი ოქროსთა შორის მ. რეიტერი.

დანარჩენ წონით კატეგორიებშიც გაიმარჯვეს საბჭოთა ათლეტებმა: ფარიდ ფაიეზმა (ტაშკენტი), ვლადიმერ მიაკოკიმ (ვოლგოგრადი), დიმიტრი ვიშვეცკიმ (მინსკი), რუსლან ბაგუნდოკოვმა, ოლეგ მერზლიაკომა (ორივე — მოსკოვი), სერგეი კუიუმა (კრასნოარსკი) და ალექსანდრე შაბალეიჩიმა (მინსკი).

„მეგრანი“ № 9

გამოვიდა „ლელოს“ საქადრაკო დამატება „მერანის“ მე-9 ნომერი. იგი იხსნება ცნობით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ შეიღო პატრონი საბჭოს მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, ესაუბრა მას და მიულოცა დიდი გამარჯვება მსოფლიო პირველობაზე მატჩში.

ნომერში დასტამბულია კარპოვ — კასპაროვის მატჩის XV-XXIII პარტიები, დიდოსტატ ლეონა აბმილოვსკაის წერილი სსრ კავშირის ქალთა 44-ე ჩემპიონატის ფინალში საქართველოს წარგზავნილთა მონაწილეობის შესახებ. დიდოსტატი ნინო გურიელი თავის აზრს გვიზიარებს ამას წინათ სოჭში საპადრაკო ფესტივალის „ოლიმპ-84“-ის პროგრამით გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც მან და ნონა გაფრინდაშვილმა II-III ადგილები გაიყვეს.

მთელი გვერდი ეძღვნება საღონეის საშაჭადაო ოლიმპიადას, რომელიც 18 ნოემბერს გაიხსნა.

რუბრიკით „ქართული ჭადრაკის მატიანიდან“ დაბეჭდილია ორი წერილი: „თბილისი, 1934 წლის შემოდგომა“, რომელიც ჩვენს დუდაპლაში ჩატარებულ თვალსაწიერ ტურნირს ეძღვნება, და ვახტანგ სიდამონიძის „ქრონიკები „ქრონიკაში“.

ნომერში გამოქვეყნებულია ინფორმაცია, ოფიციალური ამერეთი საქადრაკო კომპოზიტორის გიორგი კაკაბაძის ეტიუდი.

რედაქტორი ა. ბოგველია.

22 ნოემბერს, 12 საათზე რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქ. № 5) ჩატარდება სპორტსმენთა „ლომელეურების“ თბილისის საქალაქო საბჭოს კონფერენცია. დღევანდების რეგისტრაცია იქნე 10 საათიდან.

პაიკე დაუტე: „რომელ დაღლაზეა ლაპარაკი?“

საზღვარგარეთის სპორტის ვარსკვლავები

ცნობაები წლისაც არ იყო, ჯერ სინგში მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა. წელს, 16 დეკემბერს კი ორწელი შეუსრულდება. მსოფლიო ჩემპიონმა სიგრაძე ხტომაში პაიკე დაუტემ ამ ზაფხულის ერთ შშვიერ დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი რეკორდიც დაამყარა. უკეთეს ხასიათს ვერც ინატრებდა. მეორე დღეს პაიკეს ჯორჯია ჰქონდა. მაღორიობის სიმპოლიზებულ დერეფანში გადატარა ნეგე-დღეღამეი. მეგობრებისგან „გაკეთებული“ „ცორილორის“ სიგრძე ხუთკილ მეტრი და ორმოცი სანტიმეტრი იყო.

პაიკე დაუტეს, 21 წლის ანდრეას დრეკსელიც სპორტსმენია, ქალაქ გერის ფეხბურთელთა გუნდის მეკარე, ლიტერატურის ფიზიკური კულტურის უმაღლესი სკოლის სტუდენტი. თეთ პაიკე დაუტე ზუსტი ოპერაციის სპეციალისტია, შუშაობს იენის: „ცარ ცაისის“ საწარმოში

მსოფლიო ჩემპიონი სპორტში ხუთკიდიდან მოვიდა... საკმაოდ გაუმჯობესა ეკიპი თავისი „ვიწრო სპეციალობა“ მძლეოსნობაში. ნიშიერ გოგონას უკეთესური ადგილად გამოცდილად, მაგრამ საბოლოო არჩევანზე გაეკეთა იქონია ევროპის 1981 წლის ჩემპიონატმა ოპტიორების შორის. ამ ჩემპიონატზე პაიკე სიგრძეზე ხტომაში გამოვიდა. მას შემდეგ იგი დასაწყისიდან ამ დისციპლინაში, გადატა 714 სანტიმეტრზე გახდა ჭეყანის ჩემპიონი, იმავე წელს გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონატზე და ევროპის თასიც დაისაკუთრა.

— როგორ შეგიძლი „ორბიტაზე“ ასე წარდგა გასვლა? ძალიან უბრალოდ. — გვიპასუხა პაიკე — თავდაპირველად პროგრამის მოვალეზე ისწრაფვენ. შემდეგ — არეულის ტექნიკაზე. ბოლოს კი ეშინიათ, რომ ვერ შეასრულონ ის, რაც ადრე ადვილად გამოსდიოდათ. ეს ფსიქოლოგიური ბარიერია. ჩემი ამოცანა ის იყო, რომ ეს ბარიერი არ არსებულიყო ჩემთვის.

ოცნება? მართალია, იგი მსოფლიო ჩემპიონია, მაგრამ მსოფლიოს რეკორდი ხომ რუმინელ ანიშოარა ციშმარს ეკუთვნის. მსოფლიო ჩემპიონისა და მსოფლიო რეკორდსმენის შეჯიბრება ჭერჯერობით დაუსწრებლად მომდინარეობს.

— წინა შეჯიბრებებისგან გამოყოლილ დაღლილობას ჯერ არ გაუვლია, მაგრამ რიცა მსოფლიო რეკორდამდე სულ სამი სანტიმეტრია მაკლია, რომელ დაღლაზეა ლაპარაკი?

გერმანელიდან თარგმნა კახაბერ კუხალაშვ.

კენჭისყრა და მეტოქეები

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის შეკობინაში (მონაწილე) მოეწყო ევროპის საკუბო ტურნირების კენჭისყრა.

კალეში. ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური ამ სასტიკი პრიზის 18-გზის მფლობელი რიგის ტტტ შეხვედრა უნგრეთის კლუბს „ტუხსპორტს“ (ბუდაპეშტი). მატჩები გაიმართება 24 და 31 იანვარს. ამ ტურნირის ჩახვედრიდანვე 21 და 28 თებერვალისთვისაა დანიშნული.

ცსკა-ს ქალთა კოლექტივი პირველად იბრძოლებს რომკეტის თასისთვის. იგი უშეალოდ დაუშვეს მეოთხედფინალურ ჯგუფში, სადაც მასთან ერთად გამოუვლენ პირნელის „ვინიორი“ (ბელგარეთი) და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია). ჯგუფური ტურნირები 30 იანვრისთვის დამთავრდება. ჩახვედრისთვის გაგრძელებენ. მეოთხედფინალური მატჩები 30 იანვარშია, ხოლო ჩახვედრიდანვე 27 თებერვალშიც უნდა მოთავრდეს. ფინალური მატჩი დანიშნულია გრენობლში (საფრანგეთი) 19 მარტს.

კორაჩის თასისთვის ბრძოლას გაგაჩრობის ოთხ ჯგუფად დაყოფილ თექვსმეტ გუნდი, ჯგუფებში გამარჯვებულები ჩახვედრისათვის თამაშის უფლებას მოიპოვებენ. კიევის „სტროიტელთან“ ერთად ერთ ჯგუფში ითამაშებენ „ქალგირისთან“ ერთად მოხვდნენ სარაგოსას (ესპანეთი), ვენის სპარტაკი და სალონეის (საბერძნეთი) გუნდები. პირველ და მეორე ადგილებზე გასული კლუბები ბრძოლებს ჩახვედრისათვის გაგრძელებენ. მეოთხედფინალური მატჩები 30 იანვარშია, ხოლო ჩახვედრიდანვე 27 თებერვალშიც უნდა მოთავრდეს. ფინალური მატჩი დანიშნულია გრენობლში (საფრანგეთი) 19 მარტს.

ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალისტთა ექსესულის შემადგენლობა უკვე ცნობილია. უძლიერესთა შორის მოხვდა ჩვენი ჩემპიონიც, თასის ოთხგზის მფლობელი ცსკა. ამ შეჯიბრების პირველი ტური, როგორც ცნობილია წრიული სისტემით ჩატარდება. ფინალური შეხვედრა კი, რომელშიც თასის ახალი მფლობელი უნდა გამოვლინოს, განწრახულია 3 აპრილს თბილში შეიდეს.

ერთ მეოთხედფინალურ ჯგუფში გამოდიან: „ფენერბაჰჩე“ (თურქეთი), „სტად ფრანსე“ (საფრანგეთი), „ოლიმპია“ (იტალია). მატჩები ჩატარდება 1 თებერვლამდე. ჩახვედრიდანვე შეხვედრები დანიშნულია 20 და 27 თებერვლისთვის. ფინალი კი 20 მარტს გაიმართება ბრიუსელში.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალისტთა ექსესულის შემადგენლობაც უკვე ცნობილია. უძლიერესთა შორის მოხვდა ჩვენი ჩემპიონიც, თასის ოთხგზის მფლობელი ცსკა. ამ შეჯიბრების პირველი ტური, როგორც ცნობილია წრიული სისტემით ჩატარდება. ფინალური შეხვედრა კი, რომელშიც თასის ახალი მფლობელი უნდა გამოვლინოს, განწრახულია 3 აპრილს თბილში შეიდეს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპარტამენტის — თბილისი, „დელი“.

ტელეფონები.
მთავარი — 32-97-52.
წერილების განყოფილება — 32-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 32-97-53
„მერანი“ — 32-97-27, „მერანი“ — 32-97-28

ჩვენი ანგარიში
66435

საქართველოს კპ ცკის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. ბეჭდვის ოფსეტური წესით სტამბური კორპუსი. ზომა 70×108 1/16, 2,9 ნაბეჭდი თაბახი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. ტე 15075